



MES 7 20 0000679756



11/08/2020

**პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების
პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს წევრები:**

ხათუნა ლორია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი თუმანიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ირმა ქვეციშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, საბჭოს წევრი;

იზა კასრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

ანა მაძამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

თამარ შენგელია - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორი;

ანა ჯავახიშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა:

თეა ნიკოლაშვილი - დირექტორი;

ნიკოლოზ მელქაძე - დირექტორის მოადგილე;

ნათია იორდანიშვილი - პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსი;

ნინო ვერულაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

სოფიკო კიკუაშვილი - პროფესიული განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო დოლიძე;
გიორგი ეზუგბაია.

საბჭოს სხდომა ჩატარდა 2020 წლის 04 აგვისტოს. სხდომა დაიწყო 11:03 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ საბჭოს პირველი სხდომა იყო ახალი შემადგენლობით და სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარადგინა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2020 წლის 12 ივნისის №150/სა ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა: ხათუნა ლორია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; გიორგი თუმანიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; იზა კასრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ანა ძამამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი; ირმა ქვეხიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი. თამარ შენგელიამ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა ასევე, თამარ ღვამიჩავა, რომელსაც პირადი განცხადების საფუძველზე ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება. მან ასევე განაცხადა, რომ 03 აგვისტოს „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2020 წლის 12 ივნისის №150/სა ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და საბჭოს წევრებს დაემატა ორი ახალი საბჭოს წევრი, ირმა ხარშილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი და კობა ყალიჩავა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 7 წევრი, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა იყო უფლებამოსილი, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თამარ შენგელიამ განმარტა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 02 აპრილის №281/სა ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და საბჭოს მდივანს.

საბჭოს წევრმა, ირმა ქვეხიშვილმა წამოაყენა პროფესორ, ხათუნა ლორიას კანდიდატურა საბჭოს თავმჯდომარედ და განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა აკადემიური წრიდან ყოფილიყო საბჭოს თავმჯდომარე, რადგან აკადემიურ პერსონალს დიდი გამოცდილება ჰქონდა პროგრამების შემუშავების მიმართულებით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება და ერთხმად დაუჭირეს მხარი ხათუნა ლორიას აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ მისი მოადგილის პოზიციაზე დაასახელა საბჭოს წევრი, გიორგი თუმანიშვილი. საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი გიორგი თუმანიშვილის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის საკითხს.

საბჭოს წევრებმა საბჭოს მდივნის პოზიციაზე დაასახელეს საბჭოს წევრი, იზა კასრაძე. საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი იზა კასრაძის საბჭოს მდივნის პოზიციაზე დანიშვნის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა საბჭოს სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საბჭოს სხდომის ამსახველი ოქმის პროექტის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ სხვა შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე აკრედიტაციის ექსპერტები ჩაერთვებოდნენ დისტანციურად Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

თამარ შენგელიამ არსებული პრაქტიკა გააცნო საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ როდესაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ორივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი იყო საბჭოს წევრები შინაარსობრივად გაერთიანებულ ფორმატში განიხილავდნენ პროგრამების აკრედიტაციის საკითხს. საბჭოს წევრებმა, დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული პრაქტიკა და გაერთიანებულ ფორმატში განიხილეს ორივე პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

1. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარედგინათ თავი საბჭოს წინაშე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს თავი. დაწესებულების დირექტორმა, თეა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ დეტალურად შეისწავლეს არსებული რეგულაციები და შეიმუშავეს პროგრამები. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ პროცესში ჩართულ მხარეებთან, მათ შორის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და დიდი მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენლებს გაწეული ეფექტური სამუშაოსთვის. თეა ნიკოლაშვილმა, ხაზგასმით აღნიშნა ექსპერტთა კვალიფიკაციის შესახებ. მისი განცხადებით, ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები მისაღები იყო მათთვის და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. დაწესებულების დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია მსმენელთა შეფასების კითხვარში მატერიალურ-ტექნიკურ კომპონენტის შესაფასებელი კითხვის დეტალიზებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ გაიზიარა და გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო დოლიძეს, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროგრამებთან მიმართებით დასკვნებში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა და მათ მიერ პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

რეკომენდაციები:

- მსმენელთა შეფასების კითხვარში მატერიალური-ტექნიკური კომპონენტის შესაფასებელი კითხვის დეტალიზება/ღია პასუხის შესაძლებლობის შექმნა;
- სასწავლო მასალების მოცულობისა და მიწოდების ფორმის (ელექტრონულ ბაზაში ატვირთვა) შესახებ კითხვის დამატება.

რჩევები:

- სასურველია, ტრენერების მიერ წინასწარ მომზადდეს სასწავლო პროგრამის განხორციელებისას გამოსაყენებელი სასწავლო მასალა და შეჯერდეს ერთმანეთთან;
- ტრენინგის მონაწილის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უმჯობესია პოსტ-ტესტთან ერთად გამოყენებული იქნეს პრე-ტესტიც;
- წარმოდგენილი პროგრამისათვის სპეციფიკური სერტიფიკატის ნიმუშის შემუშავება;
- სასურველია, რომ შემუშავდეს კომერციული ტრენინგების ბიუჯეტი.

ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2020 წლის 24 ივნისს 10:00 საათიდან. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი, რომელიც პროგრამის დასრულებისთანავე ივსებოდა, შეიცავდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კომპონენტს. თუმცა, აღინიშნა, რომ ეს კომპონენტი შეფასებული იყო მხოლოდ ერთი ზოგადი კითხვით (შეაფასეთ კურსის მატერიალურ-ტექნიკური მხარე) 5-ქულიანი შეფასების შკალით, რაც ნაკლებად ინფორმატიული იყო პროგრამის ხარისხის ობიექტური შეფასებისათვის. ექსპერტების მოსაზრებით, შესაძლებელი იყო შეფასების მეტი დეტალიზება, ან ღია პასუხის შესაძლებლობის მიცემა, მსმენელის კომენტარისათვის. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კითხვარები არ მოიცავდა მსმენელთა დამოკიდებულების შეფასებას სასწავლო მასალის (როგორც მოცულობის, ისე მიწოდების ფორმის) შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო მასალა მსმენელებს ძირითადად მიეწოდებოდათ ელექტრონული ფორმით (ატვირთული სკოლის ელექტრონულ ბაზაში), ასევე, სილაბუსებში მითითებული საკმაოდ დიდი მოცულობის ლიტერატურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნული კითხვის დამატება მსმენელთა შეფასების კითხვარში.

ექსპერტმა რჩევებთან მიმართებით განმარტება გააკეთა, რომ ეს რჩევები იყო განმავითარებელი ხასიათის და განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და აკრედიტაციის ვიზიტზე ტრენერებთან/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ცალკეული საგნის სილაბუსის შემუშავების ეტაპზე შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიერ მოხდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის იდენტიფიცირება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ექსპერტთა განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა კონკრეტული სასწავლო მასალები. ექსპერტმა განაცხადა რომ უმჯობესი იქნებოდა ტრენერების მიერ წინასწარ მომზადდეს სასწავლო პროგრამის განხორციელებისას გამოსაყენებელი სასწავლო მასალა და შეჯერდეს ერთმანეთთან მსმენელთათვის სასწავლო პროგრამის ერთგვაროვანი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სწავლის შედეგების შეფასებისთვის სკოლა იყენებდა ე.წ. პოსტ შეფასებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ ტრენინგის მონაწილის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უმჯობესი იქნებოდა ასევე გამოყენებულ იქნეს პრე-ტესტები, რადგან მხოლოდ პოსტ-ტესტით შეუძლებელი იყო მსმენელის ცოდნის საწყისი დონის დადგენა და შესაბამისად, სასწავლო პროგრამის ზეგავლენის გაზომვა და შეფასება მსმენელის ცოდნაზე.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი გათვლილი იყო არაკომერციული ტრენინგების ჩატარებაზე, ხოლო კომერციული ტრენინგებისთვის ბიუჯეტის მონახაზი არ არსებობდა. ექსპერტთა განმარტებით უმჯობესი იქნებოდა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებითაც გაეწერა პროგრამის ბიუჯეტი, რომ უზრუნველყო პროგრამების მდგრადობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტებისათვის მოწოდებულ მასალაში ნიმუშად წარმოდგენილი ჰქონდათ სკოლის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი მოდულის (უსაფრთხოების თემაზე) სერტიფიკატი. ექსპერტის თქმით, სასურველი იქნებოდა, სკოლას წარმოედგინა უშუალოდ აკრედიტაციაზე გამოტანილი პროგრამის სერტიფიკატის ნიმუში.

საბოლოო შეჯამების სახით, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორივე პროგრამა შესაბამისობაში იყო სტანდარტების მოთხოვნებთან და შესაბამისად იმსახურებდა აკრედიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს რაიმე კითხვები დასკვნებში წარმოდგენილ გარემოებებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი თუმანიშვილმა განაცხადა, რომ სააკრედიტაციო წარმოების მასალების გაცნობის შემდგომ ერთი საკითხის დაზუსტება სურდა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, გადაეცემოდათ თუ არა კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს მომზადებული სასწავლო მასალა გავლილი თემატიკის შესაბამისად, რათა მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონოდათ დამატებით გაცნობოდნენ მას.

დაწესებულების დირექტორმა, თეა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას დიდი გამოცდილება ჰქონდა დისტანციურ სწავლებასთან მიმართებით. მან განმარტა, რომ კარგად ჰქონდა მის გუნდს გააზრებული დისტანციური სწავლების ინტეგრირება საერთო სასწავლო ციკლში. მისი თქმით, დაწესებულებას გააჩნდა ელექტრონული სწავლების პლატფორმა მუდლი, რომელსაც სკოლა იყენებდა ელექტრონული სწავლებისთვის და შერეული სწავლებისთვის, სადაც განთავსებული იყო სივრცეები მასალების ასატვირთად. თითოეულ მსმენელს გააჩნდა პირადი პროფილი პლატფორმაზე შესასვლელად და კურსის გავლის შემდგომ ინარჩუნებდა მასალებთან წვდომას.

საბჭოს წევრმა, ირმა ქევხიშვილმა განაცხადა, რომ საჯარო მოხელეები არამარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთაც იმყოფებოდნენ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად მოახერხებდა დაწესებულება იმ საჯარო მოხელეების გადაზიდვას, რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან.

დაწესებულების დირექტორმა, თეა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ იმ პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც მათ მიერ სააკრედიტაციოდ იყო წარმოდგენილი, სტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სავალდებულო იყო მსმენელების ადგილზე ყოფნა ანუ საკლასო მეცადინეობის ფორმით განხორციელება. აქვე, მან განაცხადა, რომ დაწესებულება მზად იყო საჯარო მოხელეებისთვის შეთავაზებინა როგორც ელექტრონული, ისე შერეული სწავლების ფორმა, თუმცა სტანდარტი არ იძლეოდა მოქნილობის საშუალებას.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენელს საუბარი ჰქონდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებაზე, რომელიც არ ითვალისწინებდა შერეული სწავლების ფორმას. დადგენილების მიხედვით, აკრედიტაციის მიზნებისთვის პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა შესაძლებელი იყო სწავლების შემდეგი მეთოდებით/ფორმებით: ელექტრონული კურსი, რაც გულისხმობდა დისტანციურ სწავლებას და საკლასო მეცადინეობა, რაც გულისხმობდა ტრენერის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში.

საბჭოს წევრმა, ირმა ქევხიშვილმა განაცხადა, რომ არსებული გარემოებებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა მომხდარიყო დადგენილებაში ცვლილების საკითხის დაყენება სწავლების ფორმებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ საგნის - ადმინისტრაციული წარმოების ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1-4 თავები, ხოლო ადმინისტრაციული წარმოება თემატურად იწყებოდა მე-6 თავიდან. აქვე, საბჭოს მდივანმა, იზა კასრაძემ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული წარმოების თემის ფარგლებში მოცული იყო საქმიანობის სამართლებრივი ფორმებიც. წარმოდგენილ პროგრამებში ძალიან ზოგადად იყო

წარმოების სახეებზე აქცენტი გაკეთებული. მისი განმარტებით თუ მოდული ადმინისტრაციული წარმოება იყო, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული ადმინისტრაციული წარმოების სახეებიც.

დაწესებულების დირექტორმა, თეა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელსაც აუცილებლად ჩაინიშნავდნენ და გამოასწორებდნენ. ხოლო რაც შეეხებოდა საბჭოს მდივნის რეკომენდაციას, აღნიშნულსაც მიაწოდებდნენ ტრენერს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს რაიმე კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მხარეებთან.

საბჭოს მდივანმა, იზა კასრაძემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, რათა მას განემარტა პროცედურული საკითხები საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. ამასთან, საბჭო ვალდებული იყო დაესაბუთებინა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე, საბჭო უფლებამოსილი იყო დაწესებულებისათვის მიეცა რეკომენდაციები. რაც შეეხებოდა აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, თუ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები სტანდარტებთან მიმართებით შეფასდებოდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ. ხოლო თუ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდებოდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდებოდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავდა ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახებოდა საბჭოს სხდომის ოქმში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის “მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას “მოხელის მენეჯერული უნარები“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 11:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

